ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

რედაქციის ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

თᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 9 ᲛᲐᲠᲢᲘ (22) 1906 წ.

მოსკოვის საურთიერთო ბანკიდან გაიტაცეს

850,000 მანეთი.

№ 5. ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲖᲔᲗᲘ. № 5.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წლიურად 5 მან., 6 თვით 3 მან., ცალკე № 2 კაპ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება:

თᲤᲘᲚᲘᲡᲘᲨᲘ: რედაქციის კანტორაში, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 5.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲨᲘ: „ᲯᲝᲚᲮᲘᲓᲐ“-Ს ᲐᲛᲮᲜᲘᲡᲙᲝᲜᲨᲘ, ტრიოფონ დამბაშიძესთან

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲨᲘ: „ᲒᲝᲠᲒᲘᲐ“-Ს ᲐᲛᲮᲜᲘᲡᲙᲝᲜᲨᲘ.

ᲑᲐᲥᲝᲨᲘ: ბ-ნ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲔ. ᲑᲔᲚᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ, ნიკოლაᲔᲕᲠᲘᲣᲚᲘᲡ ქუჩა, №39.

რედაქციის კანტორა ღია დილის 9—2 საათამდე.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ 1906 წ.

გამოვა ყოველკვირეულ გაზეთად, ზომით ერთიდან ორ თაბახამდის. ფასი გაზეთისა წლის დაძლევამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით 3 მან., 5 თვით—2 მან.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ შარშანდელ ხელის მომწერთ დაურიგდებათ წიგნებად დაკლებული პრემიები №№ 8—11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ ერთი წიგნის მაგიერ გაეგზავნებათ ყოველკვირეული „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ ერთი თვის განმავლობაში.

პირველი ნომერი კვირეულ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ გამოვიდა 5 მარტს.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ რედაქციაში ᲤᲠᲔᲘᲚᲘᲜᲘᲡ ქუჩა, № 5.

რედაქტორი ᲤᲐ. ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ. გამომ. თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ

ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ.

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი) და საშრდ. ავადმ.

Ი. Ბ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ: 9 ნახევ.—10 საათთვალისა. შინაგანი და ნერვების ავადმყ.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲝᲕᲘ: 10—11 ს. საბებია, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობ.

Მ. Ბ. ᲐᲕᲝᲚᲘᲡᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავადმყ.

Ჯ. Ი. ᲒᲐᲯᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: 11—ს, ყურისა. ცხვირისა. და ყელის ავადმყოფობანი.

Ა. Პ. ᲫᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1 ნახევ. ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყ ფობანი.

Ა. Ი. ᲖᲐᲠᲒᲐᲜᲘᲜᲝᲕ: 1 ნახ.—2 ს. საბებია, ქალთა და ბავშთა ავადმყოფ.

Ზ. Ი. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲝᲕᲘ. 1—2 ს. ქალისა ᲓᲐ საბებია ავადმყოფობანი.

ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲑᲘᲗ:

Ა. Მ. ᲞᲣᲖᲘᲜᲝᲕᲘ: 5—6 შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

Ნ. Ბ. ᲐᲑᲘᲐᲜᲪᲘ: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 7—7 ნახ. ს. რჩევა დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ჯ. Მ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ

იღებს ყოველ-დღე 12—2 საათ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ᲚᲚ. ᲚᲚ. ᲑᲐᲑᲢᲐᲛᲔ

გადავიდა გრიბოედოვის ქუჩაზე სახლი № 5.

ᲡᲐᲔᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ.

—

როცა რომელიმე სახელმწიფოს ემუქრის რაიმე დიდი ხიფათი, ემუქრის ძლიერი მტერი, ან პირი და შიმშილი, იგი მიმართავს ხოლმე თავის ხაზინას, მიმართავს შინა და გარეშე სეხს, მიმართავს წითელ ჯვარს, მიმართავს სახელმწიფოს ძირითად თანხას და ამ რიგად ცდილობს აიცდინოს თავიდან განსაცდელი. მაშ ფული ყოფილა ყველაფერი! დიახ, ფული ᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐᲠᲘ. ფულით ამრავლებ ქსენონებს და სანიტარებს, ფულით ყიდულობ სურსათს ხალხისთვის და სპობ შიმშილს, ფულით ქმნი იარაღს, აკეთებ გზებს, კვებავ ჯარს და იმარჯვებ მტერზედ. ფული ია ის თილისმა, ის ძალა, რითაც ამოძრავებ, აცოცხლებ და ამოქმედებ მთელს მხარეს, მთელს სახელმწიფოს.

როგორ იქცევა ნეტა გაჭირვებაუბედურების დროს სხვის კარ-მიდამოზედ მდგომიალე, სხვის ფრთებ ქვეშ შეფარებული, ან სხვის კლანჭებში მკვნესარე ქკვიანი და კულტურული ერი, ერი ძალით თუ ნებით დამონებული? ამ ერს არა აქვს ხაზინა, არ მოეძევება ძირითადი თანხა,-მას წაართვეს ყველაფერი, არ შეუძლია მიმართოს შინაურ თუ გარეშე სესხს, არ შეუძლია მოჰრას ქალალდის ფული, მას არა აქვს ნდობა და კრედიტი უცხო სახელმწიფოებში, იგი მოკლებულია ყოველივე სახსარს, რომ აიცდინოს თავიდან საშინელი უბედურება.

მაშ როგორ იქცევა ამ გვარ ყოფაში ჩავარდნილი შეგნებული ერი? ამ ერმა იცის გამოცდილებით და სხვების მაგალითით, რომ ცვალებადია ისტორიის ჩარხი, მზიან დღეებს მოყვება ხოლმე საშინელი სუსხი და ყინვები, მას ემუქრის ეკლიან გზაზე დიდი ხიფათი, მას გაჰივრების დროს თითქმის არავინ დაეხმარება, არავინ შეიბრალებს, მას უნდა ქონდეს მხოლოდ თავისი იმედი. და მართლაც ის ერი წინმავალი და ცხოვრებაში გამარჯვებული, რომელიც არ შეჰყურებს სხვებს მთხოვარივით ხელში და ამყარებს თავის მომავალს მხოლოდ საკუთარ ძალ-ღონეზედ. საერთო პირველამი ბადებს და კვებავს ერთგულ შემეხებას. ერის ყველა კლასები და წოდებანი ერსეულებენ თან და თან საერთო მიზნით, საერთო გრძნობით, მისწრაფებით და ინტერესებით. მათ გულში აძგერებს საამო ანგებს ის დიდი გრძნობა, რომელსაც ქვია სამშობლოს სიყვარული. ეს მძლავრი ემოცია, სხვა და სხვა მომენტში იპყრობს ადამიანსა ᲓᲐ მთელს ხალხს, ვით მძლავრი სტიქიონი და ადენინებს გმირობას და სასწაულებს.

დიახ, ამ შეგნებულმა ერმა იცის, თუ რა ქნას, რა აკეთოს, რა მიზნით გაიმსჭვალოს ან რა რიგ შეინახოს თავის ეროვნული არსებობა. მისი შეგნებული შვილები არ მისდევენ ხოლმე ბავშურ ოცნებებს, და უტოპიებს, მათ არ ებნევათ გზა-კვალი, მათ აქვთ საერო გეგმა და მიზანი. მათ იციან ნათლად, რომ ეროვნული თავისუფლება, ეროვნული კეთილ-ღეობა არის იმავე დროს ერის ყველა შვილთა და წოდებათა თავისუფლება და ბედნიერება, მათ იციან, რომ ეს თავისუფლება ქმნის ეროვნულ პროგრესს, ეს კი შეადგენს მთელი ქვეყნის, მთელი კაცობრიობის ინტერესს; მათ იციან კარგათ, რომ არსებობს ნივთიერი ინტერესი, არსებობს ისტორიაში კლასობრივ-ეკონომიური ანტაგონიზმი (სიძულვილი) მაგრამ ამავე დროს არსებობს ეროვნული ინტერესი და ანტაგონიზმი, რომ ამ ფაქტორს, ამ მოვლენას ვერ ასცდება ვერც ერთი ერი, ვერც ისტორია და ვერც მეცნიერება.

დიახ, შეგნებული ერი, ამ ერის შვილები იცავენ გულ-მოდგინეთ ყველგან და ყველას წინაშე ეროვნულ ინტერესებს, ადგენენ საერთო მოქმედების გეგმას და ქმნიან ამავე დროს საერთო თანხას, რომელსაც ეწოდება სერო ფონდი.

ეს საერო ფონდი არის ის შენახული ნივთიერი ძალა, რომელიც შველის ერს საშინელ გაჭირვების დროს. ამგვარ ფონდში შეაქვთ თავიანთი წვლილი ყველა მამულიშვილს, ყველა წოდებას, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას. ერის ყველა წარმომადგენელი უცქერის მას როგორც მხსნელს, როგორც წმიდათა-წმიდას. ეს ფონდი აბარია საუკეთესო მამულიშვილთ და იმყოფება მთელი ერის კანტროლის ქვეშ.

ამგვარი ფონდი აქვთ ჩვენს ტაფაში მყოფ თითქმის ყველა შეგნებულ ერებს. ამგვარი ფონდი არ გვქონ მხოლოდ ჩვენ,—ქართველებს.

დიდი უბედური და თავმიცემული ხალხი ვართ ქართველები! ჩვენ ვერ დაგვაკვიანა 5000 წლის ისტორიულმა გრიგალმა, ვერ დაგვაკვიანა სამხრეთის, აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ბარბაროსებმა, ვერ დაგვაკვიანა არპასლანმა, თემურმა, შახ-აბაზმა და მამედხანმა! ნუ თუ ახლა მაინც არ ვისწავლით ᲩᲙᲣᲡᲗ?! ნუ თუ ახლა მაინც არ მოგვეყვანს გონზე ჩვენი ქვეყნის აწიოკება და ატილასებური თარეში?!

ხომ ხედავთ, საქართველოს ძენო და ასულნო! აოხრდა ჩვენი ქვეყანა, აწიოკდა, გადაიწვა და გადიბუგა! დაგვეცა თავზედ ზეცის რისხვა, დაგვატყდა თავს მოულოდნელი მტერი. მან იწყო თარეში ჩვენს დაბა-სოფლებსა და ქალაქებში. მან გადასწვა და წაგვართვა ყველაფერი, წაგვართვა ჩვენი შრომით და ოფლით მონაგარი, ევერიის და კოლხიდის ველ-მინდორი შეიღება ქართველ ქალთა და ბავშთა უმანკო სისხლით. მან ახადა ნამუსი ჩვენს დედებს, დებს და ცოლებს და მით შელახა ჩვენი უუწინდესი გრძნობანი. დაფრთხალი უიარაღო ხალხი შეეფარა თოვლსა და ყინვა-სიცივეში მთებს, ტყეებს და შეიქნა იქ შიმშილის და სიცივის სხვერპლი. მეტადრე სასტიკათ, და-

უზოგველათ მოექცენ დასავლეთ საქართველოს. რას წარმოადგენს დღეს ეს შვენიერი მხარე! გადამწვარს, გოხრებულ წალკოტს. არც არაბს, არც მანდოლს, არც ლეკს, არც სპარსელს, არც თათარს, არც ერთ აზიელ ბარბაროსს არ ჩაუდენია ჩვენში ის საშინელი მხეცობა, ის უმგალითო ველურობა, რაც ჩაიდინეს მოყვრის ნიღაბით მოვლენილებმა...

კმარა ძილი და თვალის დახუჭვა! დროა ავახილოთ თვალი და ვიცნოთ აწი მაინც თუ ვინაა ჩვენი მტერი და ვინ მოყვარე... როცა ახლად მოვლენილი ატილა თავის ურდოთი ანადგურებდა ცეცხლით და მახვილით ჩვენს ტურფა ქვეყანას, როცა მთელი რუსეთის და ევროპის თვალწინ ელეტდა, ხოცავდა უდანაშაულო და უიარაღო ხალხს, როცა ხდიდა ნამუს ჩვენს დედებს, ამოიღო ვინმემ ხმა, გაგვიწია თანაგრძნობა, დაგვეხმარა რამეში?! არა!..

საქართველო მოიცავა ცეცხლმა და ალმა, საქართველოში გრიალებდა თოფი და ზარბაზანი, საქართველო იქცა ერთ საშინელ დრამათ და ტრაგედიათ. ამას მზერდა რუსის ხალხი და ინტელიგენცია, ამას მზერდენ ჩვენი მეზობლები, ამას მზერდა მთელი განათლებული ევროპა. მაგრამ სდუმდენ ყველანი... გამხეცებული ატილა კი ამ დროს ველურის ენით არბევდა და თელავდა ფეხქვეშ შოთას და თამარის ტანჯულ სამშობლოს...

აი, ძმებო, ისტორიის შავ-ბნელი ფაქტი! აი საშინელი მაგალითი! ამ ფაქტმა, ამ მაგალითმა უნდა აგვგლიჯოს თვალთაგან რიდე ყველა წოდებებს, კლასებს და პარტიებს. უნდა დავივიწყოთ ყველამ დროებით მაინც ერთმანეთის შური, მტრობა და უთანხმოება, უნდა ყველა გავიმსჭვალოთ ამ ჟამად ერთის აზრით, ფიქრით და მისწრაფებით.—დაუძინარ მტრებსაც კი აერთებს საერთო გაჭირვება! დროა დავმწიფდეთ გონებით, ვისწავლოთ ჭკუა, განვაგდოთ ოცნება და ფანტაზიები. ხომ ხედავთ! მტრის ცეცხლი და მახვილი ერთ რიგათ ანადგურებს ჩვენში გლეხსა და თავადს, მღუშას და მდიდარს, ქალსა და კაცს, კოსმოპოლიტს და ნაციონალისტს, ს. დემოკრატს და ს.-რევოლიუციონერს. მაშ ქართველ ერს, ქართველ წოდებათ, კლასებს და პარტიებს გვყოლებია საერთო მტერი... აი ამ მტრის ცეცხლმა და მახვილმა უნდა გააღვიძოს მთელი ერი, უნდა შეგვაერთოს ყველა დასი და წოდებანი, უნდა შეგვაერთოს ყველანი საერთო მიზნთ, საერთო სურვილით.. ძმებო, ეს მოულოდნელი რისხვა იყო ჩვენთვის დადებული გაკვეთილი..— დროა შეეიგნოთ ყველამ, რომ ჩვენი დამხმარე ამიერიდან არავინაა, თვინიერ ჩვენი თავისა, რომ ქართველ ერს არა ყავს ქომაგი, რომ საქართველოს წინაშე საშინელ ლანდივით აღიმართა კითხვა: ყოფნა-არ ყოფნა...—ძმებო, დღეს უპირს ჩვენს ხალხს, დღეს კვნესის უსაზღვრო ტანჯვებით ქართველი ერი, დღეს ღნავის ბავშა შიმშილი საგან, უნდა ხალხს შველა, ქომაგი და გამხნევება, დღეს ემუქრის ქართველს ჭირი და სიმშილი...

ამ საერთო გაჭირვების, ამ ზარდამცემ დროს მოგიწოდებთ ყველას, მოგიწოდებთ ყველა მამულიშვილს, ქალსა და კაცს, გლეხსა და თავადს, მუშებს და ბურჟუას, ღვდელსა და ბერს, უვიცს და მეცნიერს, მოგიწოდებთ ყველა პარტიებს, ყველას, ვისაც კი გული შეგვწევთ ჩვენს ფეხქვეშ გათელილ ხალხზედ, ვისაც კი საქმით გწამთ და გიყვართ ჩვენი ტანჯული საქართველო, მოგიწოდებთ, რომ შეავდგინოთ ხალხის დამხმარე თანხა, **საერო ფონდი.**

ეს საერო ფონდი ჩვენ-ოვის დღეს აუცილებელი საჭიროა. დღეს უნდა შველა იმედ დაკარგულ ხალხს. დღეს უნდა დავიკლოთ ყველამ და შევქმნათ საერო ფონდი. დღეს გამოჩდება ვის უფრო გვიყვარს ხალხი, ვის უფრო გვიყვარს ჩვენი მამული...

გუშაგი.

პასუხი „ცნობის ფურცელს“.

„ცნობის ფურცელს“ (7 მარტ.) ძლიერ საწყენად დარჩენია ჩვენი პასუხი და ვრცელ სპოლემიკო წერილს გვიძღვნის. სამწუხაროდ, ჩვენი მოპირდაპირის აზრები ერთი მეორეს არ ეთანხმება, თან აშკარად სჩანს, რომ ავტორს განგებ არ სურს გაიგოს ჩვენი აზრი, ცდილობს დაამახინჯოს ჩვენი მიმართულება.

მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ „ცნობის ფურცელმა“ (იხ. „ცნ. ფ.“ 5 მარტ.) აღიარა: აგრარულ საკითხს ათასჯერ მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საკითხს ავტონომიის შესახებ. აქედან სჩანს, რომ „ცნობის ფურცელი“ ან სრულიად არაფრად აგდებს ეროვნულ ავტონომიას, ან, რაც უფრო ახლოა სიმართლესთან, არა აქვს გარკვეული შეხედულება ხსენებულ საკითხის შესახებ. ამას ვამბობდით წინა წერილშიაც. დღეს კი „ცნობის ფურცელი“ გვარწმუნებს, „ჩვენ გვგონია, რომ ქართველ ხალხის ეროვნული და სოციალური იდეალი უნდა შედუღდეს ერთ განუყოფელ სოციალ-პოლიტიკურ იდეალად“ „ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებსო,“ ამაზე იტყვიან, თუ ეროვნული ავტონომია არაფრად მიგაჩნიათ, თუ კი რაღაც პოლიტიკური აგრარული გაუმჯობესობა ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანი გგონიათ, მაშინ ალბად აღარც შედუღება უნდა გწამდესთ თანასწორად ეროვნული ავტონომიისა და სოციალ-პოლიტიკური იდეალისა-

ჩვენ ვამბობდით, სანამ ერი ავტონომიას არ მოიპოვებს, მანამდის შეუძლებელი იქნება ძირითადი გადაწყვეტა საადგილ-მამულო და სხვა ეკონომიურ საკითხისათვის. აქედან ავტორს ის აზრი გამოყავს, ვითომ „სოციალ-ეკონომიურ საკითხზე გაჩუმება თურმე ჩვენი გაზეთის საერთო პრინციპი იყოს“. ლოგიკაც ასეთი უნდა. ექიმი ეუბნება ავადმყოფს; „სანამ ჰაერს არ გამოიცვლი, ვერ მოგჩენია“. ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფმა მარტო ჰაერისათვის უნდა იზრუნოს, აღარც არაფერი უნდა ჭამოს და აღარცა სვამს!? ცოტა მოთმინება იქონიეთ ბ-ნო, ნუ წინასწარმეტყველობთ ასე ადრე!

„ცნობის ფურცელი “გვიკიჟინებს, ვითომ ჩვენი „ნაციონალიზმი“ იგივე „მამების“-„ნაციონალიზმი“ იყოს. ეს ცილის-წამებაა. ჩვენი ნაციონალიზმი არის, როგორც ვამბობდით, მშრომელი ხალხის ნაციონალიზმი. ჩვენი იდეალია ექსპლოატაციის მოსპობა, ეკონომიური თანასწორობა. ჩვენი აზეთი შეეხება ყოველ-გვარ სოციალ-ეკონომიურ საკითხებს, ემსახურება, როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე ეკონომიურ თავისუფლების საქმეს. არ დავივიწყებთ მხოლოდ, რომ ყოველივე იდეალი იდეალად დარჩება და ცხოვრებაში ვერ განხორციელდება, თუ ბიუროკრატია არ იქმნა ძლეული. მაშასადამე, სრული ეროვნული ავტონომია და სათემო თვითმართველობა არ იქმნა მოპოვებული.

„ცნობის ფურცელი“ კიდევ გვიკიჟინებს, რად ამბობთ, ეროვნული თავისუფლება ისეთივე ბუნებრივი მოთხოვნილებაა, როგორც სმა-ჭამაო.

„ახალი დროების“ სიმტკიცე,—ამბობს,—იქამდის მიდის, რომ გვარწმუნებს, სმა-ჭამის შესახებაც ყველა ერთი აზრის არ არის, ყველას არა სწამს, რომ იგი ნორმალური მოთხოვნილებაა კაცის სხეულისთვისაო.“ ცილის-წამებაა. ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, ყველას არა სმწამს, რომ ნახევრად შიმშილი მავნებელია სხეულისათვის. მართალია, ეს სამწუხარო ფაქტია, ცხოვრების უკუღმართობისაგან წარმოშობილი, მაგრამ ნუ თუ აგრეთვე სამწუხარო და საეალალო არ უნდა იყოს, როცა მწერალს არა სწამს, რომ ეროვნული თავისუფლება ბუნებრივი მოთხოვნილებაა ადამიანისათვის?! ერთ რამეს ვურჩევთ ჩვენს მოპირდაპირეს, ფიზიოლოგიას თავი დაანებოს, რადგან, ვიცი, ძლიერ შეტოპავს...

დასასრულ გვიკვირს, როცა „ცნობის-ფურცელი“ გვიკიჟინებს, ვითომ ჩვენ სოციალ-ეკონომიურ საკითხების მთლიანობას უარ-ვყოფდეთ, პირიქით, ჩვენ გვწამს, საკითხს ეროვნულ ავტონომიის შესახებ ძლიერ მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიურ საკითხთან. რაც შეეხება იმ აზრს, რომ ეროვნულმა საკითხმა არ უნდა დაჩრდილოს სოციალ-ეკონომიური საკითხები, ჩვენთვის ამგვარი აზრი არ არსებობს. ჩვენს დროშაზე, როგორც ვოქვით, სწერია: თავისუფლება ეროვნული, პოლიტიკური და ეკონომიური. არც-ერთი არ ჩრდილავს მეორეს.

დასასრულ, ნება გვაქვს ერთი რამე მოვთხოვოთ „ცნობის ფურცელს“ ჩვენს აზრებს ნუ ამახინჯებს, ... ნუ გვწამებს, რადგან, უნდა იცოდ... ცილის-წამებით ფონს ვერ გავ...

ბზა და ბზა

კავკასიის უმაღლესმა მთავრობ... მოახდინა განკარგულება სახელმწ... ფო სათათბიროში დეპუტატ... ამოსარჩევად. დღეს თუ ხვალ ... ვნები დაინიშნება, თუმცა ... ფიქრით, ჩვენი ქვეყანა არაფერს ... მოელოდეს ამ დღე ნაკლულ ... დებიდანვე ბულიგინის ... გაკრულ, უფლება აყრილ „დუმ... განა“. რა თქმა უნდა ძნელია ... ზარბაზნით კაცი თავზე გადგეს ... გიბრძანებდეს: ამორჩიე ის, ... მე მინდა, თორემ მუსრს ... შენს არე მარესო. ასეთს ... მდგომარეობაში კაცი თავის ... რვილს ვერ აყვება, ის ძალა უნ... რად უნდა დამორჩილოს დროს ... გარემოებას და უნდა აირჩიოს ... ვისზედაც უთითებს სისხლით ... ღებული მთავრობა. *) ვიმეორებთ ... ამ დუმისაგან ჩვენ არაფერს არ უნ... მოველოდეთ პირიქით, ნუ გაგიკვ... რდებათ, ჩვენ იმ აზრისაც ვართ, ... თუ სტატუტი ამ დუმისა არ შეიცვ... ჩვენი ქვეყნის ბედი, უარესიც იქნ... ვიდრე აქამდის იყო: თუ ამდენ ხან... ერთისაგან იყო დამოკიდებული ჩვ... ნი და საზოგადოდ განაპირა ქვეყ... ნების ბედი, ახლა კი იგი დამოკ... დებული იქნება დუმის უმრავლ... სობისაგან. ვისგან შესდგება ეს უმ... რავლესობა? ვის გაგზავნის გადამ... წვარი და ზარბაზნებით დალეწილ... რუსეთი დუმაში სათათბიროდ? რა... საკვირველია, უმრავლეს შემთხვევა... ში, მთავრობის ზედ გავლენით იქნება ... ამორჩეული კანდიდატები და მთა... რობა კი ეცდება თავის ერთგული... კაცები იყოლიოს დუმაში, რომელ... ნიც „ბალი ალას“ შესახებენ ყო... ველ მთავრობის მიერ განზრახულ... კანონ-პროექტს და ლაგამს ამოსდებენ ... პროგრესიულ ელემენტების მისწრა... ფებას. ასეთი ერთგულნი მთავრო... ბას ბევრი ყავს, თუ გინდ იგივ... საერობო მოხელენი (ზემსკიე ნაჩალ... ნიკი). რომელნიც დაუსჯელად რო... გავდენ მართლ მადიდებელ რუსეთს ... კანონის და წესიერების დამყარების ... სახელით.

ჩვენის ფიქრით, უმრავლესობა ... პირველ შეკრებილ დუმისა ასეთ... ვაჟბატონებისაგან იქნება შემდგარი ... და ესენი განაპირა ქვეყნებისთვის ... ბევრს არას გაიმეტებენ.

დუმას, ერთად ერთი სარგებლობ... ბის მოტანა შეუძლია ჩვენთვის. მის... საშუალებით ჩვენი დეპუტატები აცნ... ობენ ქვეყანას ჩვენს აოხრებას, გა... დაწვას და სულით და ხორცით გა... ნადგურებას. მოუთხრობენ, რა გვა... რის დედი-ნაცვლის გულ ცივობით ... შესცქერის მთავრობა მისგან ჩადე...

---

*) ჩვენი აზრი დუმაში მონაწილეობის შესახებ უკვე გამოთქვეთ. რედ.

ნილს ბოროტებას. ამისათვის საჭიროა ყველამ ისარგებლოს თავის უფლებებით და მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. რომ გავიბუტოთ და არჩევნებზე უარი ვთქვათ, ვინ რად ჩაგვაგდებს? მთავრობასაც ეს უნდა, იტყვის: ჯერ კიდევ ადრეა მათთვის ევროპიული წეს-წყობილება, ჯერ კიდევ ველურები არიანო და მასაც დაუჯერებენ. ისევ სჯობია, ამ მხრივ მაინც ვისარგებლოთ ამ დაბადებიდანვე დამბლა დაცემულ ღუმით და ავირჩიოთ ღირსეული წარმომადგენლები, რომელთაც კარგად იციან ჩვენის ქვეყნის თავ-გადასავალი.

როგორც გაზეთებიდან გავიგეთ, ქუთათურებს ბედნიერი აზრი დაბადებიათ, ქუთაისის წარმომადგენელად ყოფილი გუბერნატორის ვ. ა. სტაროსელსკის გაგზავნა გაუზრახავს დუმაში. ჩვენის აზრით, უკეთეს წარმომადგენელს ქუთაისი ვერ იშოვის. ერთი რომ ღირსია ეს კაცი ამ გვარ რაინდულ ჯილდოსი ქუთაისისაგან, რომელსაც შესწირა პირადი ბედნიერება და კმაყოფილება.

მას რომ სატუსაღოს კარები არ გაეღო და არ ბამოეშვა პოლიტიკური დამნაშავენი და სარჩობელაც აღემართა ქუთაისში, დაჯერებული ვარ ჯილდოსაც მიიღებდა და დღესაც ქუთაისში იქნებოდა გუბერნატორად. მან ეს არ ინდომა და თვით ძალმომრეობის წარმომადგენელი წინ აღუდგა ძალმომრეობას, რომელმაც კიდეც იმსხვერპლა. არა ერთხელ გადაარჩინა ქუთაისი იმ კაცმა კაზაკებისაგან აობრებას და გასაკვირველი არ არის, თუ მადლიერი ქუთაისი აირჩევს თავის წარმომადგენელათ. ამით ქუთაისი მხოლოდ თავის ქველობას და რაინდულ ხასიათს დაამტკიცებს და სხვებსაც დაანახებს, რომ ქართველი ერთგვარათ აფასებს თავის ერთგულ მოღვაწეს, რა ტომსაც უნდა ეკუთნოდეს იგი.

№

ახალი ამბავი

— **შინაგან საქმეთა მინისტრას დაეშვა.** შინაგან საქმეთა მინისტრი დეპეშით ატყობინებს კავკასიის ნამესტნიკს: „რადგანაც ზოგიერთ გუბერნიებში თავად-აზნაურთა კრებებზე 14 მარტისთვის ვერ ხერხდება რწმუნებულების ამორჩევა, ამიტომ ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებების მოწვევა შეიძლება გადადებულ იქმნას მარტის ბოლომდე, ისე კი რომ ამომრჩევლები პეტერბურგში რვა აპრილისთვის გამოცხადდენო“:

— **საზუმის ოლქში სამხედრო წესების შემოღების მიზეზი** ისა ყოფილა, რომ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში მომქმედ სარევოლიუციო პარტიების თვალსაჩინო მეთაურები ყველა ამ ოლქს შეჰფარებიან.

— **ადხანოგი ამშვიდებს ამერეთს.** ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ალიხანოვს შეუდგენია პროექტი. ამ პროექტს ნამესტნიკის თავმჯდომარეობით შემდგარი სათათბირო გაინიხილავს. თავის გუბერნიის საქმეების „მოსაწესრიგებლათ“ საუკეთესოდ სცნობს აგიტაციის ძალით ჩაქრობას, მაზრებში ჯარის ჩაყენებას, ხოლო რევოლიუციონერთა ბუდის სვანეთის ხელ-ახლა დაპყრობას. პროექტში ინჩიც არაა რეფორმებზე.

— **სასდასთვის მოთხოვნილება.** სამშაბათს, 6 მარტს სასულიერო სემინარიაში დაბანკეტულმა ჯარის კაცებმა თავი მოიყარეს ეზოში და თავიანთ უფროსს მოთხოვნილება წარუდგინეს, რომ მათ ახლავე მიეცეთ დღიური (суточный) ფასი. უფროსებს დიდი ჩოჩქოლი შეუდგათ და გადაჭრილი პასუხი ვერ მისცეს.

— **სიჩუქარი.** სოფ. ძველ გავაზში, (თელავის მაზრა), კავკასიის ადმინისტრაციის განკარგულებით ლეკებს დაურიგდათ სახელმწიფო მიწის ნაჭრები, სწორეთ ის ნაჭრები, რომელსაც მთავრობა დღემდის იჯარითაც კი არ აძლევდა. მთავრობის განკარგულებით მათვე ეპატიჟოთხი წლის გადასახადი.

— **ახალი სატირიული ჟურნალი.** ამ დღეებში მთავრობისაგან აკრძალულ სატირიულ ჟურნალ „კუკურეკუ“-ს რედაქტორი მ. ერიცანი ახალი ჟურნალის გამოცემას აპირობს. მთავრობისაგან უკვე ნებართვა უთხოვნია.

— **თფილისის სუპარქიო დედათა სასწავლებლის საბჭომ** დამთავრა ამ სასწავლებლის რეორგანიზაციის საკითხი და წარუდგინა სინოდს. ამ პროექტით ეს სასწავლებლები უნდა იყოს ადგილობრივ სასულიერო მთავრობის კანკარგულებაში. სასწავლებელში მოსამსმენელთ ირჩევს საბჭოგეთ საბჭოკარდ უფროსისა, რომელსაც ირჩევს სამღვდელოების კრება. მღვდელის ხარისხი სავალდებულო არ არის მასთვის. პროგრამა ამ სასწავლებლის ქალთა გიმნაზიების პროგრამას შეეფარდება. სასწავლებელში 11 კლასი უნდა იყოს: 3 მოსამზადებელი, 7 უფროსი და 1 საპედაგოგო. სამ უნტრის კანეფოფილებაში სწავლა დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს. რუსულ ენის კაკვეთილებს კვირაში მხოლოდ ექვსი საათი დაუთმობ. როგორც კეკეგეთ სამღვდელოებას მხოლოდ ქართული ტანის სასწავლებელი სურს.

— **ავტოკეფალია** როგორც გავიგეთ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საქმე უშა. სინოდს გადასაწყვეტად მიუნდვია კავკასიის ნამესტნიკისთვის.

✦ **კაზეთების დახეკა,** 6 მარტი. ყვირილაში ენდლარმს დაუხვეია ჩვენი ბაზეთის ნომრები. დახეული ნომრები ინახება ჩვენს რედაქციაში. ეს ღა გვაკლდა!

✦ **ცახადან განთავისუფლება.** როგორც გვატყობინებენ, ქართველი მწერალი თედო სახოკია, რომელიც ამას წინად სოხუმში დაატანეს, ციხიდან გაუნთავისუფლებიათ

ნარკვევი

— **გაზ. „რუს“-ში** (2 მარტ.) ვკითხულობთ:

„მინისტრ დურნოვოს ცრუ წარმოდგენა აქვს ახლანდელი გლეხების შესახებ. უკვე დავინახეთ, რომ გლეხმა ძველებური ყურომტრილი მონობა აღარ გამოიჩინა, ურჩი შეიქნა...

ბ. დურნოვო ტყვილი იტყუებს თავს....

გლეხები ახლა პოლიციას აღარ მიჰყვებიან, აღარაფერს უჯერებენ“...

გაზ. „ნაშა ჟიზ“-ში (2 მარტ.) ვკითხულობთ:

„მეტი უბედურება შეუძლებელია; თუ ასე ვიარეთ, ხრამში გადავარდებით. ციხეები, გადასახლება, ჯარიმები არ გვაკმარეს; ახლა წერისათვისაც კი სიკვდილით სჯიან...

ბევრი დანაშაულობა არ არის, საჭიროა რომ ლიტერატორი მისცენ სამხედრო სამართალში და სიკვდილით დასჯან...

ნუ თუ სიკვდილით უნდა დაისაჯოს ლიტერატორი მხოლოდ იმიტომ, რომ სამმა აფიცერმა, თავისებურათ გაიგოს მისი წერილის შინაარსი და განგებ ამოიკითხოს შიგ შეიარაღებულ აჯანყების ქადაგება?

კორესპონდენცია.

სალხინო (ბრ. მიურატის მემამული) 24 დიდი უბედურობა გვწვია. თავს დაგვესხა 70 კაზაკი თავის ოფიცრებით ქუთაისის ბეტე გუბ. დადეშკელიანის წინამძღოლობით და მესრი გაავლო ხალხს. მეხოვრებელს გვაბრალებენ, —ბრ. მიურატისს ბოიკოტი გამოუცხადეთ და რამდენიმე ბერდენკებიც ბამოართვეთო, გვაბრალებენ სახლის გაქურდვასაც. ქურდები და მეზარული ნივთები მაშინ ამოვიტ მეხოვრებელმა და წარმოადგინეს...

ვ—

რუსეთი.

ინგლიზეთა. „რუსს“ სწერენ ვარშავიდან: „წარმოუდგენელი და გამოუთქმელია ის წამება, რომელსაც ჩვენ განვიცდით. თმა ყალყზე დგება და ძარღვებში სისხლი გვეყინება. ნამდვილი ტორკვემადოს ან ივანე მრისხანეს დროის შავ-ბნელი დღეებია. ვეიტერენ, ყოველ ნაბიჯზე გვაწოკებენ, უმოწყალოდ გვკემენ, ციხეებში დამწყვდეულებს სიმშილწყურვილით გვკლავენ, რომ „სიმართლე“ გვაუქმეკინონ და „დანაშაული“ აღვიაროთ. ხშირად, როცა წყურვილი გვახრჩობს, არაყით გვაბრუებენ გონებას, რომ ტვინ-არეულმა ჩვენის ხელის მოწერით დავუმტკიცოთ ის, რასაც ჩვენ გვაბრალებენ. თუ რომელიმე ჩვენგანი გაუძალიანდება, იმას წიწკნინ ხორცს, ათრევენ თმით, გლეჯენ კბილებს და ხშირად კეტებით გვერდებს ამტვრევენ. ვეღარ მოგვიძებნია სიტყვები, რომლითაც შეიძლებიდეს ამ საშინელ ძალ-მომრეობის გამოთქმა.

სოფლანა მეჭარა. ცნობილ გმირს მანჯურიისას გენერალ რენენკამფს ასეთი ბრძანება გამოუცია აღმოსავლეთ ციმბირის რკინის გზებზე: „თუ ვინმემ გაბედა და ხელი შეახო რომელიმე ჩემს მხლებელთაგანს (ენდრები, დრაგუნები), იცოდეთ, რაც ამ ყამად დაპატიმრებული ხალხია, სულ დავახვრეტინებო.

ბნელი მადლის ბუდე. პეტერბურგის გრადონაჩალნიკის სტამბაში იბეჭდებოდა თურმე შავ-რაზმელთა პროკლამაციები და მოწოდებანი ებრაელთა გასაძლეტად. ამის გამო მინისტრთა საბჭოს პასუხი მოუთხოვია გრადონაჩალნიკისთვის. რა პასუხი მისცა გრადონაჩალნიკმა, ეს წყვდიადით მოცულია, მხოლოდ ეს კია, რომ პოლიციას ებრძანა, სასტიკად თვალ-ყური ადევნოს და იარაღი აჰყაროს შავრაზმელებს, რომლებიც ამ ბოლო დროს არა თუ „კრამოლნიკებს“, თვით ვიტტესაც უპირებენ თურმე ბოლოს მოღებას.

მადლობის გამოცხადება. პროფესორ-აკადემიკოს პოლკის კანცელარიას მოსულია 54 ვერცხლის მედალი ზედ წარწერით: „ერთგულობისთვის“. ეს მედლები დაურიგდებათ იმ სალდათებს, რომლებმაც მეტი ვაჟკაცობა გამოიჩინეს ბავშვების და ქალების გაძეტეტაში.

ნუ ირჯებით!.. ორენბურგიდან 1,300,000 ბაშკირს დეპუტაცია გაუგზავნია პეტერბურგში; დეპუტაციას უნდა ეშუამდგომლა, რათა ბაშკირებსაც ჰყოლოდათ თავიანთი წარმომადგენელი სახელმწიფო „დუმაში“ (სათათბიროში).

ამის გამო დეპუტაციას უნდოდა მიემართნა პირდაპირ ვიტესთვის. მაგრამ გრაფს დეპუტატების ნაცვლად მხოლოდ მათი ბარათი მიუღია.

მდგომარეობა კაზკაკთა შორის. დონის როსტოვიდან „ვეჩერნ. გოლოს“ ატყობინებენ, რომ კაზკაკთა სტანიცებში მღელვარებაა: ადმინისტრაციას ჯერ ვერ გადაუწყვეტია ზომების მიღება.

მასა აღმატებულება. დეისტვ. სტ. სოვ. ლავროვის ბინაზე აღმოუჩენიათ აუარებელი ფურცელი და მოწოდებანი ებრაელთა წინააღმდეგ

დარსეული რწმუნებული. მოსკოვში კუშნარევის სტამბის მეუშემა უარი განაცხადეს სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ როდესაც ადმინისტრაციამ ძალა დაატანა, სხვა რომ ვეღარაფერი გაიწყვეს, რწმუნებულად ყრე-მენჯი ამოირჩიეს.

ქადაგებამ გასწრა! იაროსლავიდან იტყობინებიან: ბერის ილიოდორის ქადაგების შემდეგ „რუსის ხალხის კავშირმა“ სასტიკად სცემა სამ სემინარიელს. ერთი ამთაგანი საავადმყოფოში წევს. ილიოდორს სემინარიელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს და მოითხოვეს მისი გადაყენება.

უცხოეთი

საფრანგეთის ახალი კაბინეტი. საფრანგეთის ახალ სამინისტროში შევიდენ მინისტრებათ რამდენიმე გამოჩენილი პირი. მინისტრ-პრეზიდენტათ არის სარიენი. როგორც სარიენი, ისე მინისტრთა უმრავლესობა რადიკალებია. ამ რი-

გათ შესდგა საფრანგეთში რადიკალური სამინისტრო. მოსალოდნელია, რომ ეს სამინისტრო დიდ როლს ითამაშებს საფრანგეთში და მოახდენს შესამჩნევ ცვლილებას პოლიტიკურ ცხოვრებაში ვალდეკ-რუსოს და კომბის სამინისტროს შსგავსად. არ იქნება მეტი გავაცნოთ მკითხველს მოკლეთ ამ სამინისტროს უმთავრესი პირები. დავიწყოთ სარიენდან.

სარიენი 66 წლის მოხუცია; იგი არა ერთხელ იყო არჩეული მინისტრათ და პალატის ვიცე პრეზიდენტათ. ბოლო დროს კი ჩამოშორდა პოლიტიკას. ეს კაცი საშუალო ნიჭის მეკონია და საკმაოდ დაქანცული. ეს იქნება კაბინეტის მეთაური მხოლოდ სახელათ. საქმით კი პირველ როლს ითამაშებს ჟორჟ კლემანსო.

კლემანსო არჩეულია შინაგან საქმეთა მინისტრათ, თუმცა ესეც საკმაოთ მოხუცია, 65 წლის, მაგრამ კიდევ სავსეა მხნეობით. ეს კაცი დიდი ნიჭის მეკონეა და სახელ განთქმული პუბლიცისტი. მის მწვავე კალამსა და სიტყვას ბევრჯერ დაუცია სამინისტროები, ამიტომ მას ეძახიან „სამინისტროთა დამგვრეველს. ამ ბოლო დროს მისი რედაქტორობით გამოდიოდა, ახლაც გამოდის ცნობილი გაზეთი „ლაბერი“, კლემანსოს უკავია სპატიო ალაგი უკიდურეს რადიკალთა შორის.

ლეონ ბურჟუა მეორე გამოჩენილი წევრია სამინისტროში, არჩეულია გარეშე საქმეთა მინისტრათ. ბურჟუა ცნობილია თავის გამჭრიახობით, დიპლომატიურ ნიჭით, პოლიტიკის ღრმა ცოდნით და ენამჭევრობით. ეს კაცი ბელადია რადიკალურ პარტიის. ბურჟუა არა ერთხელ იყო არჩეული განათლების, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრათ. 1895 წელს შეადგინა კაბინეტი; 1902 წელს აირჩიეს პალატის პრეზიდენტათ და შემდეგ კი იყო საფრანგეთის წარმომადგენელათ ჰაგის კონფერენციაზედ. ბურჟუა მეტათ ნიჭიერი და პატიოსანი კაცია და დიდი სახელიც აქვს მოპოებული ყველა რესპუბლიკელ პარტიათა შორის.

არისტიდ ბრიანი. ეს კაბინეტის მესამე გამოჩენილი პირია; არჩეულია სახალხო განათლების მინისტრათ. იგი ძლივსაა 45 წლის; აზროვნებით სოციალისტი, ცნობილია როგორც ორატორი, პუბლიცისტი და სახალხო ბროშიურების ავტორი.

სხვა პირები კი, როგორც ლეგი, პუანკარე, ენ ბარტე და სხვანი ეკუთვნიან უფრო მარჯვენა პარტიებს. ყველანი ნიჭ ერი და ცნობილი კაცებია.

დეპეშები

პეტერბურგი. ოფიციალური. „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი სამხედრო მინისტრის მიმართ, შემდეგი შინაარსისა. „ალექსანდრე თეოდორეს ძეე, სამხედრო ბეგარის შესამსუბუქებლათ იმპერიის ეცხოვრებთათვის ჩვენ ვცანით საკეთილოდ შეეამციროთ ხმელეთის ჯარის სამსახურის ვადა და ამ რიგათ განვსაზღვრეთ ქვეითა ჯარის და ქვეითა არტილერიის ვადა სამი წლით, დანარჩენ ჯარის ვადა კი ოთხი წლით. მასთან ორად გაეყავით სათადარიგო ჯარი, ერთი ნაწილი უნცროსთაგან შემდგარი შეავსებს საველე ჯარს, მეორე ნაწილი კი უფრო ხნიერთაგან შემდგარი შეავსებს მარქაფასა და ზურგის ჯარს. ამისთვის გიბრძანებთ თქვენ შინაგან საქმეთა და ზღვათა სამინისტროთა თანხმობით შეიმუშაოთ ახლავე მოსაზრებანი ჩემი ზომების გასაყვანად ცხოვრებაში და დაუყოვნებლივ წარადგდგინოთ ეს მოსაზრებანი კანონმდებლობის წესით დასამტკიცებლათ, რათა, თუ შესაძლებელია, ამავე წელს შეუდგეთ თან და თან სამსახურის ვადის შემცირებას. ამასთან ერთად გიბრძანებთ, მიიღოთ ახლავე საჭირო ზომები და გაანთავისუფლოთ თან და თან ჯარი ტანსაცმელის და წაღების ჭრა-კერვისაგან, ეგრეთვე საოჯახო საქმეებისაგან, რათა ჯარის კაცნი არ გაცდენ სამხედრო ვარჯიშობაში. მწამს, რომ ჩემი არმიის უფროსთა და აფიცერთა მეოხებით ვადის შემცირება არ დაბრკოლებს ჯარის კაცთა გაწრთვნას და სწავლებას. დავშთები თქვენი მარად მოწყალე“. დედანზედ საკუთარის მისის უდიდებულესობის ხელით აწერია „ნიკოლოზი“, ცარსკოე სელო, 7 მარტი, 1906 წელი.

პეტერბურგი. 7 მარტი. ოფიციალური. პირველ მარტს ხელმწიფის წინაშე წარსდგა ეკატერინოსლავის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტაცია, რომელმაც უქვეშევრდომილესი ადრესი წარუდგინა და გუბერნიის მარშლის პირით უქვეშევრდომილესად სთხოვა გამრავლებულ იქმნას სახელმწიფო საბჭოს წევრთა, რიცხვი თავად-აზნაურთაგან. ხელმწიფემ სთქვა: თქვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილება გამოიწვევს დანარჩენ წოდებათა სამართლიან უკმაყოფილებას, მაგალითად ვეკარმრეწველთა კლასისას, რომელიც აგრეთვე თავის წარმომადგენელთა რიცხვის გამრავლებას თხოულობს სახელმწიფო საბჭოში. თავად-აზნაურობას სახელმწიფო საბჭოში მე მივანიჭე 18 ხმა, გარდა ამისა საერობო მოღვაწეთ, რომელთა შორისაც, უნდა ვიფიქროთ, უმრავლესობა თავად-აზნაურობა იქმნება არჩეული, 34 ხმა აქვთ მინიჭებული. თქვენის ადრესის გამო უნდა ვსთქვა, რომ მე ძლიერ კარგად მესმის ის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიც ეკატერინოსლავისა და სხვა გუბერნიების თავად-აზნაურობა ჩავარდა გლეხთა არეულობის გამო და ვუბრძანე კიდეც განსაკუთრებულმა საბჭომ განიხილოს ის ზომები, რომელთა მიღებაც საჭირო იქმნება დაზარალებულ თავად-აზნაურთა დასახმარებლად. დარწმუნებული იყავით, რომ მე სულითა და და გულით მსურს თქვენი დახმარება. გადაეცით ეკატერინოსლავის თავად-აზნაურობას ჩემი ულრმესი მადლობა ჩემდამი გამოთქმულ გრძობებისათვის და უთხარით, რომ მე დიდათ ვეფასებ მათ განათლებულ ღვაწლსა და სამსახურს ტახტისა და სამშობლოის წინაშე, რომლის მეოხებითაც მათ დამსახურეს პირველობა ყველა წოდებათა შორის და სახელმწიფო წესიერების დედაბოძად შეიქმნენ.

კალიში. 7 მარტი. ლიუბოლის გმინაში ყრილობამ უარი განაცხადა რწმუნებულთა ამორჩევაზე, მოითხოვა, რომ ყრილობას გმინის ყველა მცხოვრები დასწრებოდა და აერია პირდაპირ „დუმის“ წევრები გლეხების ჩაგონება არ მოხერხდა.

ვარშავა, 7 მარტი. ხმელნოის და მარშალკოვსკის ქუჩების კუთხეში ბოროტ გამზრახველებმა ერთ გოროდოვოის ესროლეს და მიიმალენ. პოლიციელი მოკვდა,

ვალიში, 7 მარტი. გარდა რუსებისა ჩვენა ემზადება არჩევნებისათვის. რუსები თვის გულგრილობას ამათ აბრალებენ, რომ მაინც ვერავინ გავა რუსების კანდიტატთაგანთო.

შუია, 7 მარტი. 1158 ამრჩეველთაგან წვრილ მემამულეთა ყრილობაზე მხოლოდ 106 გამოცხადდა. არჩეულია 14 მეორე ხარისხის ამრჩეველი. იმათგან 1 მღვდელია, დანარჩენ გლეხები და ვაჭრები.

ვოსკოვი, 7 მარტი, ოპერაციის დამთავრების შემდეგ საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ბირეის გვერდით, ქალაქის შუაგულში, გაჩნდა 25 რევოლვერებით შეიარაღებული კაცი.

მცარცველები მოხამსახურეებს დაემუქრენ, გაიტაცეს 859,000 მან. ოქროს ფული, საკრედიტო ბილეთები და დაუსჯელად მიიმალენ. ბანკებში შემოღებულმა მცველობამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ხარკოვი, 6 მარტი. 4228 ამრჩეველთაგან გამოცხადდა 123, რომლთაც ამოირჩიეს 10 გლეხი და ნაფიცი ვეკილი.

სუმბირსკი, 6 მარტი. მოხდა მაზრის რწმუნებულთა კრება. გამოცხადდა 30 კაცი, მათ შორის 17 რუსი და 13 ფინლანდელი. ამორჩეულ იქმნა 1 რუსი

ვარონეჟი, 6 მარტი, არჩევნების დროს გლეხები ძლიერ აგიტაციას ეწეოდენ სამღვდელოების წინააღმდეგ. პირველ საარჩევნო ნაწილში არჩეულ იქმნა 19 გლეხი და მღვდელი, მეორეში—40 გლეხი და 6 მღვდელი, მესამეში ერთი მემამულედა, 29 გლეხი.

სევასტოპოლი, 6 მარტი. სამი ათას მუშათაგან გუშინ რწმუნებულთა არჩევნებზე გამოცხადდა 50 კაცი. არჩევნები არ შესდგა,

ტვერი, 6 მარტი. ვერხნევოლოგის ქარხნიდან გამოცხადდა მხოლოდ 17 მუშა. არჩევნები არ შესდ

პეტერბურგი, 6 მარტი. 7 მარ
გამოაცხადებენ დროებით კანონ
საზოგადოებათა, კრების და კა
რების შესახებ.

ქუთაისი, 7 მარტი, რილსკის
რაში 1416 ამორჩეველთაგან გა
ცხადდა 27 კაცი. ამორჩეულია
გლეხი და 2 აზნაური.

ნოვგოროდი, 6 მარტ. ამ
ჩეულია 2 აზნაური, 3 მღვდ
და 3 გლეხი.

სამარა, 7 მარტ. ნოკრების
ნასწარი საარჩევნო კრება ზაალ
სოციალ-დემოკრატებმა.

კოსტომარი (ჩერნიგ. გუ
6 მარტი. ამორჩეული არიან აზნ
რი, მოხელე, 2 ღვდელი და
გლეხი.

ვიატკა, 7 მარტი. მღვდელმა კ
ბა დასტოვეს, რადგანაც გრძნობდ
რომ გაშავებულ იქნებოდენ.

ლეპეცი, 6, მარტი. წინასწ
კრებაზე ფიქრობენ აირჩიონ 2 სო
დემოკრატი და 1 წევრი „17 ო
ტომბრის კავშირის“.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. ლ. ბაბტაძ

რკინისგზა:

მიმავალი:	ფოსტის.	№ 5	№ 7
თბილისიდან .	12.53	7.05	10.5
გორი . .	3.24	9.37	1.23
ხაშური . .	4.58	11.08	2.49
ყვირილა . .	8.17	2.14	5.55
ქუთაისი . .	10.08	3.58	7.38
სიმტრედია .	10.3	4:24	8.05
ბათუმი . .	2.12	8.03	11,3
ფოთი . .	12.58	7.02	12.1
ბაქოსაკენ გადის:	7.56	8.46	11.38
ერევნისაკენ გადის:	12.10	2.11	—

თფილისისაკენ მომავალი:

	ფოსტის.	№ 6	№ 8
ბათუმი . .	6.17	6.22	12.30
ფოთი . .	7.11	7.22	—
სიმტრედია	9.36	9.41	3.53
ქუთაისი . .	10.13	10.18	4.33
ყვირილა . .	11.49	11.59	5.58
ხაშური . .	3.11	3.42	9.20
გორი . .	4.40	5.08	10.48
თფილისი. .	7.09	7.42	1 29

საათები თფილისის დროს უდრ
შავი ასოებით აღნიშნულია საათები
სადამოს ექვსი საათიდან დილის
ექვს საათამდე.

სტამბა ა. ვ. ქუთათელაძისა ფრეილინის ქუჩა, № 12.